გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

N 2567/01
30/03/2018

2567-01-2-201803301514

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ეკატერინე მიქაბაძეს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის

მინისტრის პირველ მოადგილეს

ბატონ ირაკლი მატკავას

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის პირველ მოადგილეს

ქალბატონ ქეთევან ნატრიაშვილს

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს

ბატონ გიორგი კაკაურიძეს

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილეს

ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

მინისტრის მოადგილეს

ბატონ ზაზა სოფრომაძეს

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით

გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა

მინისტრის მოადგილეს

ბატონ მამუკა ცოტნიაშვილს

გაცნობებთ, რომ საქართველოს მთვარობის 2016 წლის 30 დეკემბრის N639 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) დებულების“ შესაბამისად, საბჭო ვალდებულია, მათ შორის, საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიისა და 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიში წელიწადში ერთხელ წარუდგინოს საქართველოს მთავრობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭოს წევრი უწყებების ჩართულობით მომზადდა საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში (შემდგომში - ანგარიში).

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმდინარე წლის 5 აპრილს (11:00 სთ - 13:00 სთ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში დაგეგმილია საბჭოს სამუშაო შეხვედრა, რომელზეც განხილული იქნება ანგარიშის საბოლოო ვერსია, საქართველოს მთავრობისათვის შემდგომში წარდგენის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ დაესწროთ სამუშაო შეხვედრას და წარმოადგინოთ თქვენი უწყების კომპეტენციაში შემავალი პროგრამების ანგარიში. დამატებით გაცნობებთ, რომ ანგარიშის საბოლოო ვერსიის განხილვას, ასევე დაესწრებიან ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლები.

გთხოვთ, დაგვიდასტუროთ სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა, რომლის ორგანიზებასთან დაკავშირებით საკონტაქტო პირია ლელა ჯაბუა (ელ. ფოსტა: lela.jabua@mepa.gov.ge. ტელ: 2378018).

აქვე გაცნობებთ, რომ სამუშაო შეხვედრა გაიმართება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნულ სააგენტოში - მისამართი: მარშალ-გელოვანის გამზ. N6.

პატივისცემით,

ნოდარ კერესელიძე

მინისტრის პირველი მოადგილე